წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის
ოქმი №25

ქ. თბილისი *24.05.2010 წ.*

დღის წესრიგი:

1. თსუ-ს წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
2. „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ივლისის №244 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 24.05.2010 წლის №50/2010 დადგენილების დამტკიცება;
3. უნივერსიტეტის უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.
4. ანგარიში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ 2009 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;
5. თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებასა და სტრუქტურაში ცვლილების შეტანის შესახებ;
6. „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 28/2010 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 26.04.2010 წლის №43/2010 დადგენილების დამტკიცება.
7. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის, რექტორის გიორგი ხუბუას ინფორმაცია (25.05.2010 წლის №12626/02 წერილი), ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორების ნოდარ ხადურისა და ირაკლი კოვზანაძის საკითხთან დაკავშირებით.

სხდომას ესწრებოდა:

აკადემიური საბჭო: 9 წევრით;
წარმომადგენლობითი საბჭო: 20 წევრით.

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული.

1. თსუ-ს წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ აღნიშნა, რომ **„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებიდან გამომდინარე** წარმოიშვა წესდებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების” X თავის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტი არეგულირებს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესს, კერძოდ:

1. უნივერსიტეტის წესდებას შეიმუშავებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.
2. უნივერსიტეტის წესდების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტით. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგელობის ნახევარზე მეტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოების წინაშე წარმოდგენილია წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტი შემდეგი სახით:

შევიდეს ცვლილება წესდების მე-59 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა)ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა;
ბ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
გ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სტუდენტის უუნარობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში.
დ) ორსულობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება ორსულობის პათოლოგიური მიმდინარეობა.
ე) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა.
ვ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, და „ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს თსუ ს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს შვიდი კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს სტატუსის შეჩერების და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

4. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) თსუ ში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტატუსის შეჩერება;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
გ) პირადი განცხადება;
დ) ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულთა პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის საფეხურზე/პროფესიული უმაღლესი განათლების ქვესაფეხურზე;
ე) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;
ვ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;
ზ) ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერ მიღება (2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან);
თ) პლაგიატი- ნაშრომში სხვისი აზრისა თუ ნაშრომის ციტირება ავტორის მითითების გარეშე ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
ი) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
კ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
ლ) „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით“, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით“ გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
მ) გარდაცვალება.

6. ამ მუხლის მე 5 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სტატუსის შეწყვეტის კანდიდატს ეძლევა ფაკულტეტის ან ფაკულტეტის ფარგლებში სპეციალობის შეცვლის უფლება.

7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან ექვსი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდენ:

წარმომადგენლობითი საბჭო 20 წევრით;
აკადემიური საბჭო 9 წევრით;

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც კანონდებლობისა და თსუ-ს წესდების შესაბამისად მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 20;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

შეტანილი იქნეს ცვლილებები წესდებაში წარმოდგენილი სახით და იგი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა აღნიშნა, რომ დასამტკიცებლად წარმოდგენილია „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ივლისის №244 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 24.05.2010 წლის №50/2010 დადგენილება; ხსენებული დადგენილების მიხედვით "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგნენლობითი საბჭოს წევრთა არჩევის წესში" შეტანილი იქნა ცვლილება და ამოღებული იქნა მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლითაც არჩევნები ჩატარებულად ითვლებოდა, თუ მასში მონაწილეობდა ხმის უფლების მქონე პირთა 1/3 მაინც, ცალ-ცალკე, როგორც აკადემიური, ისე სტუდენტების რაოდენობიდან.

აღინიშნა, რომ ამ კუთხით აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ ცვლილება შეტანილი იქნა ასევე თსუ-ს წესდებაში.

გაიმართა კენჭისყრა აღნიშნულ საკითხზე.

კენჭისყრაში მონაწილეობდა წარმომადგენლობითი საბჭო 20 წევრით;
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ივლისის №244 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 24.05.2010 წლის №50/2010 დადგენილება.

3. სენატის სპიკერმა დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით სიტყვა გადასცა იურიდიული დეპარტამენტის უფროსს ლელა ბენიძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 85-ე მუხლის თანახმად "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ქონებასთან დაკავშირებით, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციამ ითხოვა თანხმობა, უნივერსიტეტის ქუჩა №13-ში მდებარე მე-11 სასწავლო კორპუსში (ბიოლოგები) დაახლოებით 130 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე კვების ობიექტის მოსაწყობად. ამასთან აღინიშნა, რომ ადმინისტრაცია იმოქმედებს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად და უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით შემდგომი პროცედურების განხორციელებას.

გაიმართა კენჭისყრა აღნიშნულ საკითხზე.

კენჭისყრაში მონაწილეობდა წარმომადგენლობითი საბჭო 20 წევრით;
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

გაიცეს თანხმობა, უნივერსიტეტის ქუჩა №13-ში მდებარე მე-11 სასწავლო კორპუსში (ბიოლოგები) დაახლოებით 130 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე კვების ობიექტის მოსაწყობად.

4. სენატის სპიკერმა კახაბერ ლორიამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ 2009 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად სიტყვა გადასცა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს ბ-ნ რომან ხარბედიას, რომელმაც ვრცლად ისაუბრა 2009 წელს ადმინისტრაციის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, კერძოდ, 2009 წელს მიმდინარე და დაფინანსებულ პროექტებზე, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. ასევე აღინიშნა, რომ მიუხედავად შარშანდელი უმძიმესი პერიოდისა, წელი ყოველგვარი გართულებების გარეშე დასრულდა, წარმატებული აღმოჩნდა 2009 წლის სახელფასო პოლიტიკა, უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისიწნებული იქნა ახალი მუხლი - ემერიტუსების დაფინანსებასთან დაკავშირებით. კოორდინირებულად მუშაობდა ადმინისტრაცია, ფაკულტეტები და თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა. შესრულებულია მნიშვნელოვანი სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, როგორც "საუნივერსიტეტო ინფრასქტრუქტურის პროგრამის ფარგლებში", ასევე უნივერსიტეტის მიერ საკუთარი სახსრებით. განხორციელდა დაახლოებით 3 300 000 ლარის შესყიდვა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ფონდების მიერ გაცემული გრანტების მომსახურება, ხელფასების დროული გაცემა, ინვენტარიზაციის პროცესის დასრულება, რომელიც 2007 წლიდან მიმდინარეობს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო 1-ლი

სასწავლო კორპუსის დაცლა და აქედან გამომდინარე მე-2 კორპუსის ნულოვანი სართულის ათვისება, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რისთვისაც მოწვეული იქნა სათანადო კომპეტენციის მქონე 3 კომპანია. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ.შ. რომან ხარბედიამ აღნიშნა, რომ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაობთან ერთად მიმდინარეობდა ინვენტარის შეცვლა, ახალი კომპიუტერული ტექნიკის შემოტანა და სხვა ღონისძიებები.

მომხსენებელი შეეხო ადმინისტრაციის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მუშაობას. ამასთან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში წინასწარ გასაცნობად განთავსებული იყო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

გაიმართა დისკუსია აღნიშნული საკითხის ირგვლივ, რომელშიც მონაწილეობდენ აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები, ფაკულტეტების დეკანები. მსჯელობა მიმდინარეობდა სამედიცინო ბაზებთან დაკავშირებით, სამომავლოდ ჩასატარებელ სარემონტო სამუშაოებზე, ინვენტარის ჩამოწერის საკითხზე და სხვა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საბჭოს წევრებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მის სახელზე 19 მარტს შემოვიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის იმჟამინდელი უფროსის, ასოც. პროფესორის ირინე დარჩიას ორი ანგარიში (წერილები: 07187/02; 07184/02) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2007-2009 და 2009 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ. ვინაიდან წერილებში მითითებული იყო თხოვნა, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია გასაცნობად მიწოდებოდა სენატის წევრებს, სპიკერმა აღნიშნა, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მითითებული დოკუმენტების ხილვა შეეძლოთ და შეუძლიათ თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდზე.

ამის შემდგომ საკითხი ადმინისტრაციის მიერ 2009 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე კენჭისყრაზე დაისვა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდენ:

წარმომადგენლობითი საბჭო 20 წევრით;
აკადემიური საბჭო 9 წევრით;

კენჭისყრაში კანონმდებლობისა და თსუ-ს წესდების შესაბამისად მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 20;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ 2009 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოდგენილი სახით.

5. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ.შ, პროფ. რამაზ ბოჭორიშვილის მიერ წარმოდგენილი იქნა ამავე ფაკულტეტის დებულებასა და სტრუქტურაში შესატანი ცვლილებები. აღინიშნა, რომ ეს ცვლილებები ძირითადად გამოწვეულია ცალკეული სტრუქტურული ერთეულების სახელწოდებების დაზუსტებით. წარმოდგენილი ცვლილებები მიღებულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2010 წლის 14 აპრილის სხდომაზე.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდენ:

წარმომადგენლობითი საბჭო 20 წევრით;
აკადემიური საბჭო 9 წევრით;

აღნიშნულ საკითზე გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც კანონმდებლობისა და თსუ-ს წესდების შესაბამისად მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება და სტრუქტურა ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული ცვლილებებით.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკრემა კახაბერ ლორიამ აღნიშნა, რომ დასამტკიცებლად წარმოდგენილია აკადემიური საბჭოს 26.04.2010 წლის №43/2010 დადგენილება „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 28/2010 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ .

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სიტყვა გადაეცა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ.შ, პროფ. რამაზ ბოჭორიშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ სხვა ფაკულტეტების (იურიდიული ფაკულტეტის გარდა) მსგავსად კატეგორიები გაუქმდა მათ ფაკულტეტზეც. აღნიშნული დადგენილებით კი, რომელიც მიღებულია აკადემიური საბჭოს მიერ, დარეგულირებულია აკადემიური პერსონალისათვის დანამატის მიცემის საკითხი, კერძოდ, “დანამატი შეიძლება მიეცეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიურ პერსონალს, ვინც შრომით სამართლებრივ ურთიერთობას ახორციელებს მხოლოდ თსუ-ში (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისიწნებული შემთხვევებისა. ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა)”.

გაიმართა კენჭისყრა აღნიშნულ საკითხზე.

კენჭისყრაში მონაწილეობდა წარმომადგენლობითი საბჭო 20 წევრით;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 28/2010 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“აკადემიური საბჭოს 26.04.2010 წლის №43/2010 დადგენილება.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ საბჭოს წევრებს გააცნო აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის, რექტორის გიორგი ხუბუას წერილი (24.05.2010 წ. №12626/02), რომელიც შეეხება სენატის მიმართვას აკადემიური საბჭოსადმი “ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სრული პროფესორებისათვის ნოდარ ხადურისა და ირაკლი კოვზანაძისათვის აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ” თსუ აკადემიური საბჭოს 17.02.2010 წლის №16/2010 დადგენილებასთან დაკავშირებით. როგორც წერილიდან ირკვევა, აკადემიურმა საბჭომ იმსჯელა და გაითვალისწინა რა წარმომადგენლობითი საბჭოს კითხვები, საჭიროდ მიიჩნია ამ მიმართულებით გაგრძელდეს მუშაობა ფაკულტეტებთან, რათა მკაფიოდ განისაზღვროს კრიტერიუმები და საფუძვლები მსგავსი ხელშეკრულების დადებისას.

აღნიშნული ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი კახაბერ ლორია

დამტკიცებულია თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით

(სხდომა №25, 24.05.2010წ.)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი კახაბერ ლორია

თსუ ადმინისტრაციის მიერ 2009 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

2009 წელს თსუ ადმინისტრაცია თავის საქმიანობას წარმართავდა ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების, პერსონალის და მატერიალური რესურსების მართვის, სასწავლო და სამეცნიერო პროცესების ორგანიზაციის, ხარისხის უზრუნველყოფის, სამეცნიერო კვლევების გაღრმავების, საგარეო ურთიერთობების განვითარების და სხვა მიმართულებებით.

თსუ 2009 წლის ბიუჯეტის პროექტი შემუშავდა ფაკულტეტებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად და აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით წარედგინა წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად 2008 წლის დეკემბრის თვეში, ანუ წესდებით დადგენილ ვადაში.

2009 წლის ბიუჯეტში, წინა წლებისაგან განსხვავებით, ფაკულტეტების ბიუჯეტში ცალკე გამოყოფილ თანხებს: ძირითადი შტატის აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის, კონტრაქტით და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურების, აგრეთვე მივლინების, სასწავლო პრაქტიკის, სამეცნიერო ექსპედიციების, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შეძენის და სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სხვა ხარჯებს, დაემატა აკადემიური პერსონალის ხელფასზე დანამატი, სამეცნიერო ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, ნიჭიერ სტუდენტთა წახალისების ფონდი და სტიპენდიები. ამით გაგრძელდა წინა პერიოდში გამოკვეთილი კურსი ფინანსური რესურსების განკარგვაში ფაკულტეტებისათვის სულ უფრო მეტი უფლებების დელეგირების მიმართულებით, რაც მიზნად ისახავდა აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების მოწესრიგება-რაციონალიზაციას, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და სწავლების მოტივაციის ამაღლებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთმა მიდგომამ საერთო ჯამში უდაოდ იქონია პოზიტიური ეფექტი. ერთის მხრივ, ამაღლდა ფაკულტეტების ავტონომიურობის ხარისხი და პასუხისმგებლობა ბიუჯეტის პრიორიტეტული მუხლების ხარჯვითი მიმართულებების მიმართ. მეორეს მხრივ, სახელფასო დანამატების განაწილების თავდაპირველად შემუშავებული მექანიზმი ვერ აღმოჩნდა სათანადოდ მოქნილი და მოითხოვა გარკვეული ტრანსფორმაცია. ამიტომ, 2009 წლის ბიუჯეტში სახელფასო დანამატის თანხა დაემატა შრომის ანაზღაურების ფონდს და განაწილდა ფაკულტეტების მიერ რანჟირებულ აკადემიურ პერსონალზე ხელფასებთან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული რანჟირების წესით. თუმცა, 2009 წლის 1 სექტემბრიდან მოქმედი კანონმდებლობით ემერიტუსის წოდების შემოღებასთან დაკავშირებით, 2010 წლის ბიუჯეტში კვლავ გახდა საჭირო ფაკულტეტებზე აკადემიური პერსონალის სახელფასო დანამატის დარიცხვის მექანიზმის კორექტირება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ემერეტუსის ხარჯებმა საანგარიშგებო წელს თითქმის ორმოცი ათასი ლარი შეადგინა, ხოლო მიმდინარე წლის ბიუჯეტში 120 ათასამდე ლარია ამ მიზნით გათვალისწინებული.

2009 წლის ბიუჯეტში, სხვადასხვა საუნივერსიტეტო სტუდენტური ღონისძიებებისათვის გამოყოფილი იყო 200 ათასი ლარი. გამოყოფილ თანხებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, განკარგავდა თსუ სტუდენტური თვითმმართველობა. სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან გაცვლით პროგრამებში, სპორტულ, კულტურულ-სანახაობრივ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის, ასევე წიგნების, სასტამბო-საგამომცემლო მომსახურების და სხვა სახის მომსახურების შესაძენად გაწეულმა ფაქტობრივმა ხარჯებმა სულ შეადგინა 230 000 ლარი.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ „საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის პროგრამის ფარგლებში" უნივერსიტეტს გამოუყო 836 132 ლარი, რომელიც გათვალისწინებული იყო X, XI, კორპუსებში სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, ბიბლიოთეკის გათბობის მოსაწყობად და სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულებისათვის ინვენტარის შესაძენად. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოყოფილი ასიგნებების საკასო ხარჯმა შეადგინა 755 707 ლარი. აღნიშნული თანხიდან XI კორპუსისის სარემონტო სამუშაოებზე დაიხარჯა 518 040 ლარი, X კორპუსის სარემონტო სამუშაოებზე 96 206 ლარი, ბიბლიოთეკის გათბობის მოსაწყობად 41 574 ლარი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულებისათვის ინვენტარის შესაძენად 99 885 ლარი.

სწორი ფინანსური მენეჯმენტის განხორციელების, ფინანსური რესურსების დაზოგვისა და ხარჯების ოპტიმიზაციის, ასევე, სახსრების ეკონომიისა და შემოსავლების ზრდის ხარჯზე 2009 წლის ბიუჯეტში შესაძლებელი გახდა ორი მილიონი ლარის გათვალისწინება აკადემიური პერსონალის საბაზო ხელფასის დიფერენცირებული მატებისათვის.

2009 წლის განმავლობაში ეკონომიური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში შესყიდვების განსახორციელებლად გეგმით განსაზღვრული იყო 4 491 608 ლარი. წლის განმავლობაში აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში გამოცხადდა 10 ტენდერი. შესყიდვების განხორციელებისთვის დახარჯულმა თანხამ შეადგინა 3 289 505 ლარი, მათ შორის ტენდერის საშუალებით – 834 767 ლარი, ფასთა კოტირებით – 111 480 ლარი, ხოლო ერთ პირთან მოლაპარაკებით – 2 343 257 ლარი.

2009 წელს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ჩატარდა 1 ტენდერი და 2 ფასთა კოტირება. შესყიდვებზე დახარჯულმა თანხამ სულ შეადგინა 316 432 ლარი.

საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში 2009 წელს ჩატარდა 1 ტენდერი და 2 ფასთა კოტირება. სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 755 797 ლარი, მათ შორის ტენდერის საშუალებით – 518 130 ლარი, ფასთა კოტირებით – 106 046 ლარი, ხოლო ერთ პირთან მოლაპარაკებით – 131 620 ლარი.

საერთაშორისო გრანტებით მიღებული დაფინანსებით განხორციელებულმა შესყიდვებმა შეადგინა 182 120 ლარი. ყველა შესყიდვა განხორციელდა ერთ პირთან მოლაპარაკებით.

2009 წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების მომსახურებას, მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშგებების მომზადებას, სათანადო ფონდებსა და დონორ ორგანიზაციებში წარდგენას. 2009 წელს უნივერსიტეტში ერთდროულად მუშავდებოდა 112 საგრანტო პროექტი. მათ შორის: 57 – ეროვნული სამეცნიერო ფონდის, 19 – რუსთაველის ფონდის და 36 – საერთაშორისო.

უნივერსიტეტში დროულად და შეუფერხებლად ხორციელდებოდა ხელფასებისა და სხვა ფულადი სახსრების გაცემა. დიდი ყურადღება ექცეოდა დებიტორ-კრედიტორულ და ანგარიშვალდებულ პირებზე დავალიანებათა შემცირების საკითხს. სისტემატურად მიმდინარეობდა სალაროსა და საწყობის მოულოდნელი შემოწმებები, სადაც მნიშვნელოვან დარღვევას ადგილი არ ჰქონია. დროულად და ხარისხიანად ხდებოდა კვარტალური და წლიური ბალანსების ჩაბარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ბალანსზე, საშემოსავლო

გადასახადში, 2004 წლიდან მოყოლებული ირიცხებოდა უიმედო ზედმეტობა მილიონი ლარის ოდენობით. საფინანსო დეპარტამენტის ძალისხმევით, ურთულესი პროცედურების გავლის შემდეგ, აღნიშნული თანხა დაუბრუნდა უნივერსიტეტს.

შეფერხებების გარეშე ფინანსდებოდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები, საიუბილეო ღონისძიებები და სხვა. მოწინავე სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ 150 ლარიანი სტიპენდიით. სულ 570 წარჩინებულ სტუდენტზე გაიცა სტიპენდია, მათ შორის 280 სტუდენტზე უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ასევე მაგისტრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, თითქმის 30% - ზე მეტი, უნივერსიტეტის სახსრებით იქნა დაფინანსებული.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ უნივერსიტეტში ათწლეულების განმავლობაში არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია. შედეგად, ვერ ვფლობდით ზუსტ ინფორმაციას ქონების რაოდენობისა და ღირებულების შესახებ, მოუწესრიგებელი და, შეიძლება ითქვას, ქაოსი იყო ძირითადი საშუალებებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვაში, მათ აფასებაში და, აქედან გამომდინარე ჩამოწერაში. აღნიშნული პრობლემის მოწესრიგების მიზნით, 2007 წელს დაიწყო და საანგარიშგებო წელს ძირითადად დასრულდა ინვენტარიზაციის მეტად შრომატევადი და რთული პროცესი. აღწერილი ქონება შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ბუღალტრულ დოკუმენტაციასთან. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ახორციელებს პრობლემის სამართლებრივი და ეკონომიკური მოგვარების დეტალურ ღონისძიებებს. ქონების აფასებისა და ჩამოსაწერად მომზადების მიმართულებით ნაყოფიერად იმუშავა ტენდერში გამარჯვებულმა აუდიტორულმა კომპანიამ. აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ 2009 წლის შემოდგომაზე დაიწყო და ამჟამად დანერგვის სტადიაზეა „ორის მენეჯერის“ შესყიდული პროგრამა, რაც არსებითად გააუმჯობესებს აღრიცხვა-ანგარიშგების და ადმინისტრაციის დოკუმენტწარმოების პროცესს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სერიოზული მუშაობა გასწია 2009 წლის ბოლო პერიოდში 2010 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის და დასამტკიცებლად დროულად წარდგენისათვის. საფინანსო დეპარტამენტმა უზრუნველყო საბიუჯეტო პროცესის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დროული განხორციელება და ბიუჯეტის პროექტის მომზადება. აღსანიშნავია, რომ თსუ საბიუჯეტო პრაქტიში პირველად, 2010 წლის ბიუჯეტის მიზნობრიობის ამაღლების, რაციონალიზაციის და გამჭვირვალობის მიზნით, განხორციელდა მისი პროექტის ერთობლივ სამუშაო რეჟიმში განხილვა-შეჯერება, აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს, ფაკულტეტების წარმომადგენლების და ადმინისტრაციის

ფინანსური ბლოკის ორდღიან გასვლით სხდომაზე, ბაზალეთში, რამაც უდაოდ შეუწყო ხელი 2010 წლის ბიუჯეტის დადგენილ ვადებში დამტკიცებას.

2009 წელი გამორჩეულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსებისა და განახლების კუთხით. უნივერსიტეტის კორპუსებში დიდი მოცულობის სამუშაოები იქნა ჩატარებული საამშენებლო სარემონტო საექსპლუატაციო, სამეურნეო და მომარაგების კუთხით. I კორპუსში სარემონტო სამუშაოების გამო, აუცილებელი გახდა კორპუსის დაცლა და მასში განთავსებული სასწავლო-აკადემიური კონტინგენტის და ადმინისტრაციის სამსახურების გადაყვანა და განთავსება სხვა კორპუსებში. კერძოდ, ოპტიმიზაციის ხარჯზე გამონთავისუფლდა ფართები აუდიტორიებისათვის II, VI, VIII, X, XI კორპუსებში. მათ შორის აღსანიშნავია, რომ II კორპუსში მთლიანად მოხდა ცოკოლის სართულის ათვისება, სადაც იყო ადრე დასაწყობებული ძალიან დიდი რაოდენობით, შხამ-ქიმიკატები, ლითონის სეიფები, გამოუყენებელი ინვენტარი, მოწყობილობები და მასალები. მოხდა ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებების განეიტრალება-გაუვნებელყოფა შესაბამისი წესით, ხოლო კორპუსში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჩამოსაწერი ინვეტარი გადაიზიდა და დასაწყობდა მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის ტერიტორიაზე. შედეგად მივიღეთ ახალი გარემონტებული აუდიტორიები და სამუშაო ოთახები 19 სამსახურისათვის, რომლებიც შეივსო ასევე ახალი ინვენტარით და მოწყობილობებით. ანალოგიური სამუშაოები საკუთარი ძალებით განხორციელდა უნივერსიტეტის სხვა კორპუსებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე.

ფაქტობრივად უნივერსიტეტში მთელი წლის განმავლობაში არ შეჩერებულა სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები: გარემონტდა და კეთილმოეწყო აუდიტორიები, სამუშაო ოთახები, შესასვლელი ფოიეები, დერეფნები, ფასადები. შეკეთდა დაზიანებული სახურავები იმ მონაკვეთებზე რომლებიც საჭიროებდნენ სასწრაფოდ რეაბილიტაციას. კერძოდ, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის, II, V, VIII, X, კორპუსებზე, საერთო ფართით - 2250 $მ^2$. თანადაფინანსებით გარემონტდა რუმინეთის სახელობის აუდიტორია და ფართი მაღლივ კორპუსში ტურიზმის საერთაშორისო სკოლისათვის.

ასევე, ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში სექტემბრის შემდეგ დაიწყო და წლის ბოლომდე ძირითადად დასრულდა X და XI კორპუსებში სარემონტო სამუშაოები: სარემონტო სამუშაოები XI კორპუსში შესრულდა დაახლოვებით - 7500 $მ^2$ ფართზე („ბ“ ბლოკის II, V, VII სართული და მინაშენი); შედეგად მივიღეთ: 60 - ახალი გარემონტებული ოთახი, მათ შორის: 37 აუდიტორია, 12 - კომპიუტერული კლასი და ერთი რესურსცენტრი; ასევე 38 სამუშაო ოთახი, ძირითადად აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის ადმინისტრციისათვის, რომელიც მიმდინარე წელს

დაკომპლექტდა შესაბამისი ინვენტარით. ამრიგად ახალ სასწავლო სემესტრს სტუდენტები შეხვდნენ ახალ გარემონტებულ გარემოში.

აღსანიშნავია, რომ XI კორპუსის „ბ“ ბლოკში, სადაც მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები და დამატებით იყო განთავსებული I და X კორპუსებიდან გადმოყვანილი 1200 სტუდენტი, ისე აიგო სარემოტო სამუშაებისა და მეცადინეობის განრიგი, რომ სასწავლო პროცესი და კვლევითი სამუშაოები არ შეფერხებულა.

სარემონტო სამუშაოები შესრულდა უმოკლეს ვადაში – 2.5 თვის მანძილზე. პარალელურად, იგივე ვადებში წარიმართა X კორპუსში მე - II, V, და VII სართულებზე სარემონტო სამუშაოები დაახლოვებით 2100 მ^2 ფართზე. I და II სართულებზე და სპორტულ დარბაზში კი მოეწყო გათბობის ახალი სისტემა, რითაც მოგვარდა მთელი კორპუსის გათბობის საკითხი. გადაიხურა ამავე კორპუსის სპორტული დარბაზი (700 მ^2), მალე დასრულდება სარემონტო სამუშაები და მოეწყობა თანამედროვე სპორტული დარბაზი.

2009 წელს პირველად განხორციელდა VIII კორპუსის გაზიფიცირება და დამონტაჟდა გათბობის სისტემა. ასევე, ბიბლიოთეკის კორპუსში დამონტაჟდა გათბობის სისტემა, გაკეთდა ახალი ჭერი, ფართი შეივსო საჭირო ინვენტარით და მოეწყო საგამოცდო ცენტრი 1200 სტუდენტზე, რის შედეგადაც შესაძლებებელი გახდა ერთიანი შიდა გამოცდების ჩატარება.

საერთო ჯამში 2009 წელს გარემონტდა 110-ზე მეტი აუდიტორია, კორპუსების შესასვლელი ფოიეები, ფასადები, კორპუსებში სავალალო მდგომარეობაში მყოფი კიბეები, 65-ზე მეტი სამუშაო ოთახი აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციისათვის. გარემონტებული სასწავლო-სამუშაო ფართი შეადგენს დახლოებით 22 500 კვ. მეტრს.

გადაწყდა ბაგების სტუდ-ქალაქში ელექტრომოწყობის, კანალიზაციის, სახურავის საკითხები, შეიცვალა დაახლოვებით 1900 მ^2 დაზიანებული მინა, მოწესრიგდა და დასუფთავდა ეზო და მიმდებარე ტერიტორია, გადატანილ იქნა ტერიტორიიდან სამარშრუტო მიკროავტობუსების გაჩერება.

2009 წელს შეძენილია 293967 ლარის საერთო ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობა; კომპიუტერი(175ც), პრინტერი, სკანერი, პროექტორი, ასლგადამღები, სერვერი, აქსესუარი და სხვა, რომელებიც განაწილდა ფაკულტეტებისა და სამსახურების მოთხოვნებისა და საჭიროების შესაბამისად. ფაკულტეტები და აუდიტორიები დაკომპლექტდა თანამედროვე ტიპის სტაციონალური და მოძრავი პროექტორებით, აუდიტორიებში (ასზე მეტი სტუდენტისათვის) დამონტაჟდა გახმოვანების აპარატურა და ვიდეოკამერები, საიდანაც შესაძლებელია ლექციების ტრანსლირება. ფაკულტეტებს გადაეცათ და კორპუსებში დამონტაჟდა, როგორც

საინფორმაციო, ასევე ცხრილებისათვის საჭირო ახალი თანამედროვე ტიპის სტენდი (80 ზე მეტი), საინფორმაციო ფირნიშები, აბრები. II, VI, V, და X კორპუსებში, ანუ ყველა ფაკულტეტზე, სტუდენტთა მომსახურეობისთვის დაიდგა ქსეროქსის აპარატები, წლის განმავლობაში შეძენილი იქნა და II, V, X კორპუსებში სტუდენტთა ინფორმირებისათვის დამონტაჟდა მონიტორები. სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ჟურნალისტიკის მიმართულებისათვის, შეძენილ იქნა 98 800 ლარის ღირებულების მაღალი კლასის, თანამედროვე ტექნიკა. V, VI და X კორპუსებში მოეწყო კომპიუტერული კლასები, ახალი რესურსცენტრები კი X, XI კორპუსებში.

შეძენილია 1800 ცალზე მეტი სხავდასხვა სახეობის სასწავლო ინვენტარი (მერხი, მაგიდა, სკამი, კათედრა, დაფა და სხვა). დამატებით, საკუთარი ძალებით რეაბილიტირებული და განახლებულია 700 ზე მეტი სასწავლო მერხი და 500-დე სკამი. საჭიროებისამებრ დაკომპლექტდა შეძენილი, რეაბილიტირებული და ახალი სასწავლო ინვენტარით ყველა კორპუსის სასწავლო აუდიტორია. შედეგად, ექსპლუატაციაში ფაქტობრივად არ დარჩა ძველი ან მძიმედ დაზიანებული სასწავლო ინვენტარი.

გარდა ამისა, მთელი წლის მანძილზე კორპუსებში არ შეფერხებულა პირველადი საჭიროების საექსპლუტაციო და შესაკეთებელი სამუშაოები (საკეტები, სანათები, კარებები, ფანჯრები, მინები, საკანალიზაციო, ელექტრო, ბაღის და ა.შ).

კორპუსებში მოწესრიგდა და განათდა ყველა ეზო და კუთხე, გაიწმინდა და გაიმართა გათბობის სისტემები, მოცულობით დიდი კორპუსების შესასვლელებში, სითბოს შენარჩუნების მიზნით, დამონტაჟდა საკმაოდ მაღალი სიმძლავრის სითბური ფარდები. უნივერსიტეტის ყველა კორპუსში გადაწყდა გათბობის პრობლემა.

დაწესებულია კონტროლი რესურსების ყაირათიან ხარჯვაზე. მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ რესურსებზე მოთხოვნა სრულად კმაყოფილდებოდა და ამ კუთხით პრეტენზიები არ ყოფილა, 2008 წელთან შედარებით 2009 წელს საკანცელარიო ნივთებზე გაწეული ხარჯები შემცირდა 25%-ით, კავშირგაბმულობის ხარჯები – 20%-ით, წყლის ხარჯი – 40%-ით, გათბობისა და გაზის ხარჯი – 20%-ით. უმნიშვნელო მატება ელექტრენერგიის მოხმარების და შენობა-ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავების ხარჯებში განპირობებულია, ერთი მხრივ, სტუდქალაქის ელექტროქსელის გაუმრიცხველიანებლობით და მეორე მხრივ, სტუდენტთა რაოდენობის მატებით, რითაც იანგარიშება დასუფთავების გადასახადები. ამრიგად, საერთო ჯამში, საანგარიშგებო წელს ადგილი ქონდა რესურსების ხარჯვის მნიშვნელოვან ეკონომიას.

უნივერსიტეტში სულ უფრო იხვეწება ურთიერთთანამშრომლობა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის. კერძოდ, კოორდინირებულად ხორციელდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დელეგირებულ სასწავლო გრანტის

მფლობელ სტუდენტთა რეგისტრაცია, საგრანტო პირობების ცვლილებების აღრიცხვა, სტუდენტთა მიგრაციის დაფიქსირება, სამინისტროსთან ხელშეკრულების პროექტების მომზადება გრანტის გადმოცემის თაობაზე, საშტატო განრიგში და სახელფასო ფონდში კორექტივების შეტანა, ფაკულტეტების ადმინისტრაციებთან თანამშრომლობა და სხვა.

საანგარიშგებო წელს კიდევ უფრო გააქტიურდა და გაღრმავდა უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობები და შემოქმედებითი კავშირები. პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან გაფორმდა 18 ხელშეკრულება. წარმატებით ხორციელდებოდა თსუ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობის ხელშეწყობა. ამ მიზნით ორგანიზებულ იქნა 12 კონკურსი. გავრცელდა 200-ზე მეტი განცხადება სხვადსხვა კონკურსების, კონფერენციებისა და სემინარების შესახებ, გამოიცა სპეციალური ბროშურა, რეგულარულად მიეწოდებოდა ინფორმაცია ვებ-გვერდის, ფაკულტეტების და სტენდების მეშვეობით. თსუ-ში გაცვლითი პროგრამით მიღებულია 10 საზღვარგარეთული უნივერსიტეტის – 1 პროფესორი, 3 დოქტორანტი, 16 მაგისტრანტი და ბაკალავრი. კოორდინირებულია 11 საგანმანათლებლო პროგრამა და 5 საერთაშორისო პროექტი, მინიჭებულია 8 საპატიო დოქტორის ტიტული. მოეწყო 6 საგანმანათლებლო ღონისძიება, მათ შორის, თსუ ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის ინგლისური ენის შესწავლის პროექტი –„ინგლისური პროფესიული მიზნებისათვის“– ბრიტანეთის საბჭოსთან თანამშრომლობით. მომზადებულია თსუ რექტორის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის 21 საქმიანი ვიზიტი უცხოეთში, ორგანიზებულია 38 უცხოური დელეგაციის და წარმომადგენლის მიღება თსუ-ში.

ინტენსიურად მიმდინარეობდა საზოგადოებასთან ურთიერთობა, როგორც შიდა საუნივერსიტეტო, ასევე სახელისუფლებო სტრუქტურებთან, სასწავლო/სამეცნიერო დაწესებულებებთან, მასმედიასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა დაწესებულებებთან. რეგულარულად ეწყობოდა პრესრელიზები, მიეწოდებოდა საინტერესო თემები მედიასაშუალებეს, ხდებოდა მასალების მიხედვით რესპოდენტთა შერჩევა, უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა საინტერესო მოვლენებზე ექსკლუზიური სიუჟეტების შეთავაზება. საერთო ჯამში გაშუქებულ იქნა და მიეწოდა საზოგადოებას ინფორმაცია 40-ზე მეტ მნიშვნელოვან საუნივერსიტეტო ღონისძიბასა და მოვლენაზე.

ისე როგორც გასულ წლებში, საანგარიშგებო წელსაც, შემოქმედებითად და ნაყოფიერად იმუშავა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციამ. გამოიცა გაზეთის 8 ნომერი. გაზეთმა კიდევ უფრო გააფართოვა თავისი სტრატეგია სტუდენტური ინიციატივების, ღონისძიებების, ახალგაზრდული შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობის და საჭიროებების ვრცლად წარმოჩენით და გაშუქებით. შემოტანილია ახალი

რუბრიკები, რომლებიც ხელს უწყობს ადმინისტრაციის დაახლოებას, როგორც სტუდენტურ მოვლენებთან, ისე აკადემიურ და სამეცნიერო წრეებში მიმდინარე პროცესებთან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ პრობლემულად რჩება გაზეთის საუნივერსიტეტო სივრცის გარეთ გატანა და საზოგადოების ფართო წრეებში გავრცელება.

დიდი ყურადღება ექცეოდა შემოსულ კორესპოდენციაზე ოპერატიულ რეაგისრებას. 2009 წლის განმავლობაში უნივერსიტეტში სულ რეგისტრირებულია 53969 კორესპონდენცია. აქედან შემოსულია – 31227, ხოლო გასულია 20801 კორესპონდენცია, გამოცემულია 5372 ბრძანება, გაფორმებულია 7086 ხელშეკრულება. წინა წელთან შედარებით ადგილი აქვს კორესპონდენციის, ბრძანებებისა და გაფორმებული ხელშეკრულებების არსებით მატებას, რაც განპირობებულია სტუდენტთა მობილობის და მივლინებების რაოდენობის ზრდით, აგრეთვე, საათობრივი წესით მოწვეულთა ხელშეკრულებების, პედაგოგთა ხელშეკრულებების და შესყიდვების ზრდით. გასული წლის განმავლობაში კანცელარია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დოკუმენტების არქივირების პროცესს, ყველა ფაკულტეტზე და სტრუქტურულ ერთეულში შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რამაც საშუალება მოგვცა მოგვეხდინა მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტების აღწერა, ექსპერტიზა, მოწესრიგება, საქმეებად ფორმირება და არქივისათვის გადაცემა. კანცელარიაში შეიქმნა და დანერგილია საქმის ელექტრონული წარმოება.